

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა“, ქვეპროგრამის - „პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება“, ღონისძიების - „კულტურის სფეროს მუშაკებთან შეხვედრა“ - ფარგლებში კონკურსის - “წარმატებული ხელოვანი“ - ჩატარების წესის შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა“, ქვეპროგრამის - „პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება“, ღონისძიების - „კულტურის სფეროს მუშაკებთან შეხვედრა“ - ფარგლებში - „წარმატებული ხელოვანის“ - შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობებს, ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპეტენციებს, მხარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ღონისძიების ფარგლებში, მიმდინარე წლის წარმატებულ ხელოვანთა შორის, გამარჯვებულთა გამოვლენა ხორციელდება კონკურსის წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისიის (შემდგომში - კომისია) სარეკომენდაციო გადაწყვეტილების საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით.

3. საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ნომინაციებზე შესაძლებელია წარდგენილი იყოს კულტურის სფეროში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე ფიზიკური პირი ან/და ფიზიკურ პირთა ჯგუფი, რომელმაც 2022 წელს მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება ან/და განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის კულტურის ამა თუ იმ სფეროს განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

4. ნომინაციებში გამარჯვებულ პირებზე გასანაწილებელი ფულადი ჯილდოების მთლიანი ოდენობა შეადგენს - 25 000 ლარს.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

1. ღონისძიების მიზანია კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა, ხელოვანთა მხარდაჭერა, წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

2. ღონისძიება ითვალისწინებს:

2.1. კულტურის სფეროში წარმატებული ხელოვანების გამოვლენასა და დაჯილდოებას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს განსაკუთრებულ პროფესიულ წარმატებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

მუხლი 3. ნომინაციები და ფულადი ჯილდოები (ერთჯერადი გასაცემლის სახით)

1. ღონისძიების ნომინაციები:

1. წლის მუსიკოსი - ერთი გამარჯვებული
2. წლის მხატვარი - ერთი გამარჯვებული
3. წლის მწერალი/პოეტი - ერთი გამარჯვებული
4. წლის დებიუტი - ერთი გამარჯვებული
5. წლის კულტურის მიმომხილველი ჟურნალისტი - ერთი გამარჯვებული
6. წლის ქართული ფოლკლორის შემოქმედი - ერთი გამარჯვებული
7. წლის კინოხელოვანი - ერთი გამარჯვებული
8. წლის მუსიკალური ჯგუფი - ერთი გამარჯვებული
9. წლის საერთაშორისო წარმატება - ერთი გამარჯვებული
10. წლის ფოტოხელოვანი - ერთი გამარჯვებული
11. წლის პედაგოგი სახელოვნებო დარგში - ერთი გამარჯვებული
12. წლის ქორეოგრაფი - ერთი გამარჯვებული
13. წლის ლოტბარი - ერთი გამარჯვებული
14. წლის მუზეუმელი - ერთი გამარჯვებული
15. თეატრალურ ხელოვნებაში შეტანილი წვლილი - ერთი გამარჯვებული
16. კულტურის სფეროში შეტანილი წვლილი - სამი გამარჯვებული
17. წლის ახალგაზრდა ხელოვანი - ერთი გამარჯვებული
18. წლის მენეჯერი კულტურის სფეროში - ერთი გამარჯვებული

2. ნომინაციის გამარჯვებულებს გადაეცემათ სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი - ბრინჯაოს ქანდაკება - „ოვაცია“ და ფულადი ჯილდო - 1250 ლარი;

მუხლი 4. წარდგენის წესი

1. ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ნომინანტის წამოყენების უფლება აქვს:

1.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ პირებს;

1.2 ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებს და მათ დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ პირებს.

1.3 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თვითშემოქმედებით ჯგუფებს;

1.4 მოქალაქეთა არანაკლებ 10 კაციან საინიციატივო ჯგუფს.

2. ერთი განმცხადებლის მიერ ერთი ნომინანტი შეიძლება წარდგენილი იყოს მხოლოდ ერთ ნომინაციაზე;

3. ერთი განმცხადებლის მიერ რამდენიმე ნომინანტის სხვადასხვა ნომინაციაზე წარდგენის შემთხვევაში, თითოეულ ნომინანტზე ივსება ახალი განაცხადი.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა, უფლებამოსილმა პირმა (შემდგომში - განმცხადებელი), განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს ელექტრონული ფორმით (PDF ვერსია), ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: administracia@moecs.ge ან/და დაარეგისტრიროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის №4);

5. კონკურსის ფარგლებში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1 შევსებული განაცხადი;

5.2 ნომინანტის შემოქმედებითი ბიოგრაფია;

5.3 ნომინანტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

5.4 თუ ნომინანტი არასრულწლოვანია, კანონიერი წარმომადგენლის (დედის ან მამის) პირადობის მოწმობის ასლი და ნომინანტის დაბადების მოწმობის ასლი;

5.5 ნომინანტის მიერ, მიმდინარე წელს მიღწეული წარმატების - პრემია / ჯილდო / სიგელი (ან სხვა) დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასლი) ან/და ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი აუდიო/ვიდეო (არსებობის შემთხვევაში) მასალა.

6. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;

7. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

8. სამინისტრო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.

1.2. განმცხადებლის მიერ წარდგენილი განაცხადი, ამ დებულებით გათვალისწინებულ, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტს, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას, შეისწავლის განაცხადს და მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს;

2. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას „წარმატებული ხელოვანის“ შესარჩევი კონკურსის კომისიის სხდომაზე.

მუხლი 6. განაცხადების მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს 2022 წლის 27 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის 18 საათამდე;

2. კომისია განაცხადებს განხილვას განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 4 სამუშაო დღის ვადაში.

3. გადაწყვეტილება მიიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

მუხლი 7. კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია:

1.1. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესით;

1.2. ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

1.3. განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს გამარჯვებულებს თითოეული ნომინაციის მიხედვით და გასცემს რეკომენდაციებს;

1.4. უფლებამოსილია, ამა თუ იმ ნომინაციაზე წარდგენილი ნომინანტი, განმცხადებელთან შეთანხმებით, წერილობითი თანხმობით (დაზუსტება/კორექტირება), განიხილოს იმ ნომინაციაზე, რომელიც გაცილებით უფრო მეტად მიესადაგება მის მონაცემებს;

1.5. უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი.

5. საჭიროებიდან გამომდინარე (საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე) კომისიის სხდომა შეიძლება გადაიდოს ან ჩატარდეს დამატებით.

6. კომისიის თავმჯდომარე:

6.1. წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

6.2. კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მინისტრს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების შესახებ (ოქმთან ერთად).

7. კომისიის მდივანი:

7.1. ახორციელებს განაცხადების შესწავლა-დამუშავებას და რეესტრში შეყვანას. ასევე, კომისიის სხდომის ორგანიზებას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;

7.2. კომისიის წევრთა მიერ, განხორციელებული შეფასების შედეგად მიღებული ქულების დაჯამებით, ახდენს საბოლოო შედეგების გამოვლენას;

7.3. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას (საბოლოო შედეგებთან მიმართებაში) ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი.

7.4. ამზადებს მოხსენებით ბარათს, კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და გამარჯვებულ პირთა დაფინანსების თაობაზე, მინისტრისთვის წარსადგენად.

8. კომისიის წევრი:

8.1. შეისწავლის განაცხადს, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს (ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით) და ახდენს შეფასებას;

8.2. გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად.

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო განაცხადი შეფასდება 0-დან 10 ქულის ფარგლებში;

მუხლი 9. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება კომისიის თითოეული წევრის მიერ, წარდგენილი ნომინანტების (თითოეული ნომინაციის მიხედვით) შეფასების შედეგად, მიღებული ქულების დაჯამებით.

2. რეკომენდაცია გაეწევა იმ პირებს/სუბიექტებს, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მეტ ქულას, თითოეული ნომინაციის მიხედვით.

3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გამამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.

4. გადაწყვეტილების მიღება ხდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 10. დაჯილდოების ღონისძიება

1. დაჯილდოების ღონისძიების გამართვის მიზანია: საზეიმოდ დაჯილდოვდნენ წლის წარმატებული ხელოვანები, კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

2. დაჯილდოების ღონისძიების დროს, ლოკაციას, ფორმატს და სხვა ორგანიზაციული საკითხების დაგეგმვა - განხორციელებას, მინისტრთან წინასწარი შეთანხმებით, უზრუნველყოფს კულტურის დეპარტამენტი.